განკარგულება:**g-37. 37262107**
თარიღი:**29/07/2026**

განკარგულება N45

29 ივლისი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის N96 დადგენილებით დამტკიცებული სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მოწონებული იქნეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. საპროექტო წინადადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

მუხლი 3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი